დაიჯესტი

7-13 მაისი, 2022

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ამერიკის შეერთებული შტატები

13 მაისს ნიუ-იორკის აღმოსავლეთ ოლქის რაიონულმა სასამართლომ 62 წლის მამაკაცი, ფრენკ ჯეიმსი, ბრუკლინში განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმაში უდანაშაულოდ სცნო. აღნიშნული პირი 12 აპრილს ცეცხლსასროლი იარაღით და კვამლის ბომბებით თავს დაესხა ნიუ-იორკის მეტროს, რის შედეგადაც 10 ადამიანი დაიჭრა. მოგვიანებით, ჯეიმსმა სამართალდამცავ ორგანოებს მისი ადგილსამყოფელის შესახებ შეატყობინა. საგამოძიებო სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ ფრენკს არ ახსოვდა მომხდარის შესახებ და საპატრულო სამსახურთან დაკავშირების გზით სურდა გაერკვია, თუ რატომ იყო გამოცხადებული მასზე ფედერალური ძებნა.

9 მაისს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციები დაუწესა 5 პირს, რომლებსაც ბრალად ედებათ ტერორისტული ორგანიზაცია დაეშისთვის ფინანსური რესურსის შეგროვება. ამერიკის შეერთებული შტატების სახაზინო დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დუი დალია სუსანტი და მისი თანამზრახველები ინდონეზიიდან, თურქეთიდან და სირიიდან შეგროვებულ თანხებს მოზარდების სირიის საზღვარზე გადაყვანისთვის იყენებდნენ.

მანჰეტენის ფედერალური სასამართლოს ნაფიცმა მსაჯულებმა არაერთგვაროვანი პოზიცია დააფიქსირეს 44 წლის ალექსეი სააბის საქმესთან დაკავშირებით. 44 წლის პროგრამისტს ბრალად ედება სადაზვერვო მიზნით ამერიკის შეერთებული შტატების ღირსშესანიშნაობების ამსახველი ვიზუალური მასალის შეგროვება და ტერორისტული ორგანიზაციისთვის გადაცემა. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ალექსეი სააბს მიღებული აქვს სამხედრო განათლება ჰეზბოლასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ორგანიზაციაში.

გაერთიანებული სამეფო

ბირმინგემის სასამართლომ 30 წლის მამაკაცს, მუსა მუჰამედს, თავისუფლების აღკვეთის სახით 5-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. აღნიშნული პირს ბრალად ედებოდა ძალადობრივი ექსტრემისტული შინაარსის შემცველი ვიდეო-მასალის ფლობა და გავრცელება.

18 წლის ლუკ სკელტოლმა დლისტონიდან, სასამართლო პროცესზე უარყო ბრალდებები საპატრულო პოსტზე ტერორისტული თავდასხმის მომზადების შესახებ. ახალგაზრდას

ბრალად ედება არამხოლოდ ტერორისტული თავდასხმის მომზადება, არამედ - ტერორისტული თავდასხმისკენ მოწოდებების გავრცელებაც. სკელტოლმა მის მიერ ინტერნეტში გავრცელებულ ძალადობრივი ექსტრემისტული შინაარსის შემცველ მასალას ხუმრობა უწოდა. 15 მაისს გამართულ სასამართლო პროცესზე აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მოსამართლემ განაჩენი არ გამოიტანა. განმეორებითი პროცესის თარიღი ამ დროისათვის ცნობილი არ არის.

გერმანია

გერმანიის ქალაქ ესენში საპატრულო სამსახურის ტაქნიკურმა ქვედანაყოფებმა 12 მაისს ჩაატარეს ჩხრეკა ორ სკოლასა და ბინაში, მას შემდეგ, რაც მიიღეს ინფორმაცია, რომ 16 წლის მოზარდი, თავდასხმას გეგმავდა მის სკოლაზე. ჩხრეკის შედეგად, ეჭვმიტანილის ბინიდან ამოღებულია ბომბის საშენი ფუნქციონალური მასალა და ასაფეთქებელი ნივთიერებები. სკოლის მოსწავლე დაკავებულია. მომხდართან დაკავშირებით ესენის საპატრულო სამსახური საგამოძიებო სამუშაოებს ატარებს.

ისრაელი

8 მაისს, ისრაელის უსაფრთხოების ძალებმა, უსაფრთხოების სააგენტოსა (ISA) და პოლიციასთან თანამშრომლობის ფარგლებში, სამდღიანი ძებნის შედეგად ორი პალესტინელი ტერორისტი - 19 წლის ასად ალ-რიფაი და 20 წლის ემად სუბჰი ელადის მიმდებარე ტყის ტერიტორიაზე დააკავა. ტერორისტებმა ქალაქ ელადში ცულით განხორციელებული თავდასხმისას სამი მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს. თავდასხმამდე რამდენიმე დღით ადრე, ჰამასის ადგილობრივი ლიდერი, იაჰია სინვარი ღიად გამოხატავდა ტერორიზმისადმი მხარდაჭერას და მებრძოლებს დანების, ცულების, იარაღების გამოყენებისკენ მოუწოდებდა.

11 მაისს ისრაელის თავდაცვის ძალებსა (IDF) და პალესტინელებს შორის ჯენინში გახსნილი ცეცხლის შედეგად ალ-ჯაზირას ვეტერანი რეპორტიორი, შირინ აბუ აკლე სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა. პალესტინის მხარე საერთო გამოძიებაში მონაწილეობაზე უარს აცხადებს და მომხდარზე პასუხისმგებლობას ისრაელის ხელისუფლებას აკისრებს. თავის მხრივ, ისრაელი

შიშობს, რომ ეს შემთხვევა ისრაელზე მეტი ტერორისტული თავდასხმის განხორციელების მიზეზი გახდება.

ოთხშაბათს, 11 მაისს, ნაშუადღევს, იერუსალიმის ძველ ქალაქში, „ტაძრის მთასთან“ ახლოს ტერორისტის მიერ პოლიციელზე თავდასხმის მცდელობა აღკვეთეს. ეჭვმიტანილი დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრები პალესტინელი იყო. მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. თავდასხმის მცდელობა მოხდა რამდენიმე საათში მას შემდეგ, რაც ალ-ჯაზერას კორესპოდენტი დაიღუპა ჯენინში. შემთხვევის შემდეგ, ისრაელის პოლიცია შევიდა „ტაძრის მთის“ ტერიტორიაზე, რამაც შეტაკება გამოიწვია ადგილობრივებთან.

იემენი

ირანის მიერ მხარდაჭერილი ჰუსიტები ელადში მომხდარ ტერორისტულ თავდასხმას ზეიმობენ, რომელიც ჰუსიტური მედიის შეფასებით, წარმოადგენდა ოპერაციას „სიონისტური რეჟიმის გულში“.

სირია

სირიის დემოკრატიულმა ძალებმა (SDF) განაცხადეს, რომ 8 მაისს რაქაში დააკავეს დაეშის ეჭვმიტანილი ლიდერი და ორი ადგილობრივი პირი.

ერაყი

ირანის ისლამური რევოლუციური გვარდიის კორპუსმა (IRGC) 11 მაისს დილით დაბომბა ერბილის ტერიტორია ერაყში. სამიზნე „ტერორისტული ჯგუფების“ მიერ დაკავებული პოზიციები იყო. საარტილერიო ცეცხლის შედეგად გარდაცვლილთა შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა. IRGC-ის განცხადებით, სახმელეთო ძალებმა ჯერ კიდევ ერთი დღით ადრე ირანში დაშალეს ერბილში დაფუძნებული ტერორისტული ბლოკი და ჯგუფის ხუთი წევრი დააკავეს ბანეში, ერაყის საზღვართან ახლოს.

მაროკო

11 მაისს მარაქეშში დაეშის წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო კოალიციის წევრი სახელმწიფოების მინისტრეალი გაიმართა. შეხვედრაზე მიღებული კომუნიკეს თანახმად, დაეშისგან მომავალ საფრთხეები არ გამქრალა და ადეკვატურ პასუხს საჭიროებს კოალიციის წევრი სახელმწიფოებისგან.

ეგვიპტე

8 მაისს დაეშმა პასუხისმგებლობა აიღო სინას ნახევარკუნძულზე წინა დღეს განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმაზე, რომელსაც 11 ეგვიპტელი ჯარისკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა. ტერორისტული ორგანიზაციის მიერ შაბათს განხორციელებული თავდასხმა ბოლოდროინდელი ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი თავდასხმა იყო.

11 მაისს, სინას ნახევარკუნძულზე ისლამისტ ექსტრემისტებს და ეგვიპტელ ოფიცრებს შორის მომხდარ შეტაკებებს 1 ეგვიპტელი ოფიცრის, 4 ჯარისკაცის და 7 ჯიჰადისტის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ეგვიპტის პრეზიდენტ აბდელ ფატაჰ ელ-სისისა და აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველს, ჯეიკ სალივანს, შორის ტერორიზმთან და ექსტრემისტულ იდეოლოგიასთან ბრძოლაში თანამშრომლობის გაღრმავების გზების ძიების მიზნით შეხვედრა შედგა. აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია ეგვიპტე-აშშ-ის ალიანსის გაძლიერება. ვაშინგტონს სურს კაიროსთან პარტნიორობის გაძლიერება, რამდენადაც სისის მმართველობის პირობებში ეგვიპტეს არსებითი როლი აქვს ახლო აღმოსავლეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნების საკითხებში.

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა

გასულ კვირას იტურის პროვინციაში, იძულებით გადაადგილებულ პირთა ბანაკზე და მაღაროებზე თავდასხმების სერიის შედეგად დაღუპულია 50-მდე ადამიანი. ადგილობრივების განცხადებით, თავდასხმა შეიარაღებული სამხედრო დაჯგუფება, კოდეკოს წევრებმა განახორციელეს.

ტოგოს რესპუბლიკა

11 მაისს, გამთენიისას ჩრდილოეთ ტოგოში რვა ჯარისკაცი დაიღუპა და 13 მძიმედ დაიჭრა შეიარაღებული პირების მიერ კპენდჯალის პრეფექტურაში (ბურკინა-ფასოს საზღვართან ახლოს) განხორციელებული თავდასხმის შედეგად.

სომალი

ალ-შაბააბის მებრძოლები, ქვედა შაბელის ტერიტორიაზე, აფგოეს რეგიონის საბიდის რაიონში, სამთავრობო ბაზას თავს დაესხნენ. ორმხრივ სროლას მსხვერპლი მოჰყვა. სომალის სამთავრობო წარმომადგენლების განცხადებით, თავდასხმა მოგერიებულია და ამ დროისათვის საბიდის რაიონში ვითარებას ხელისუფლება აკონტროლებს.

ნიგერია

სულ მცირე შვიდი ჯარისკაცი დაიღუპა და ორი დაიკარგა ჩასაფრებული პირების მხრიდან თავდასხმის შედეგად, ნიგერიის აღმოსავლეთ შტატ - ტარაბაში პატრულირების დროს. თავდასხმა 10 მაისს ღამით მოხდა. დაკარგულია ბრიგადის გენერალი და მისი თანაშემწე. მომხდარზე პასუხისმგებლობა ამ დრომდე არცერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ აუღია, თუმცა საგულისხმოა, რომ ტარაბას შტატში აქტიურობით დაეშის დასავლეთ აფრიკული პროვინცია გამოირჩევა.

დაეშის მებრძოლებმა სიკვდილით დასაჯეს 20 ქრისტიანი ბორნოს შტატში, რათა შური ეძიათ დაჯგუფების ლიდერების მკვლელობის გამო ახლო აღმოსავლეთში.

კამერუნი

კამერუნის ჩრდილოეთ საზღვრის სოფლის მოსახლეობა, ყოველდღიურად საპროტესტო აქციებს მართავს სამთავრობო ოფისების წინ, სამხედროების ჩარევისა და ჯარების განლაგების მოთხოვნით იმ ადგილებში, სადაც ბოკო-ჰარამის თავდასხმები გაიზარდა. სოფლის ლიდერები ტერორისტული ორგანიზაციის მებრძოლებს ადანაშაულებენ ბოლო

სამი კვირის განმავლობაში სულ მცირე 35 ადამიანის მკვლელობაში, ასევე - პირუტყვისა და საკვების ქურდობაში.

პაკისტანი

ქალაქ კარაჩში ბომბის აფეთქებას ემსხვერპლა ერთი ადამიანი და დაიჭრა - 13. ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა მოტოციკლზე იყო დამაგრებული და საპორტო ქალაქის კომერციულ უბანში აფეთქდა. მსხვერპლი, ძირითადად, გამვლელები იყვნენ, სამიზნე კი პაკისტანის საზღვაო უსაფრთხოების ძალების ფურგონი იყო. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა, ჯერ-ჯერობით, არცერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ აუღია.